H-F-H
History-Film-History

სამოცდაათიანი წლების ბოლოს, კინოს სამყაროში კრიზისის პირველი სიმპტომები გამოვლინდა; კრიზისი, რომელმაც ოთხმოციანი წლების შუა ხანებში იფეთქა და აღმავლობითა და ვარდნით დღესაც გრძელდება.

ეს ვარდნა ძირითადად განპირობებულია სატელევიზიო მოწყობილობებისა და სახლის ვიდეოების მასიური გავრცელებით, რამაც იმ წლებში დიდი აღმავლობა განიცადა. დღეს, ჩვენთვის ბუნებრივია ფილმების ყურება და ტრანსლირება ჩვენს მოწყობილობებზე, მაგრამ ეს მაშინ დიდი სიახლე იყო. კინოინდუსტრიას, რა თქმა უნდა, დრო დასჭირდა ფილმების ყურების ახალ გზებთან ადაპტირებისთვის.

ზოგიერთი ფილმი გამოხატავს ნოსტალგიას იმ პერიოდის მიმართ, როდესაც კინოს ცენტრალური ადგილი ეკავა ხალხის ცხოვრებაში. ჯუზეპე ტორნატორეს Nuovo Cinema Paradiso (ახალი კინო პარადიზო) მოგვითხრობს პატარა კინოთეატრის ისტორიას პატარა სიცილიურ ქალაქში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში. ფილმში ბავშვი იწყებს მუშაობას კინო მექანიკოსთან, ის აღფთოვანებულია კინოსა და თეატრის მაგიით, სადაც ფილმების დაპროექტება ხდება. ასე რომ, კინოკამერა არის სუფთა და ნამდვილი სიყვარულის ფონი, რომელიც ცხოვრების მანძილზე გაჰყვება ადამიანს, ხოლო კინოთეატრი, რომელიც დავიწყებული იქნა ფართო საზოგადოების მიერ, კვლავ ინარჩუნებს დიდ მნიშვნელობას, როგორც სიზმრების, ოცნებების და მოგონებების ადგილი.

გასაოცარ ეპიზოდში, მთავარი გმირი ატრიალებს პროექტორს დარბაზის გარეთ, გადააქვს ფილმი შენობის ფასადზე, რომ მოედანზე შეკრებილმა ხალხმა შეძლოს მისი ყურება. ეს კადრები, თითქოს, მეტაფორაა კინოს გარდაუვალი გადასვლისა თეატრის დარბაზებიდან კერძო სახლების ოთახებში, შემდეგ კი, პორტატული მოწყობილობების წყალობით, ჯერ თვითონაც რომ არ იცოდნენ - მატარებლებში, ავტობუსების პლატფორმებზე და ნებისმიერ სხვა ადგილას.

Co-funded by the European Union
Creative Europe MEDIA